

572  
1981

ISSN 0132-3069  
036060  
03606060

# Солнышко

1981  
036060  
N6





სამხარველი

ვარდობისთვის სურნელი დგას, ზვიმი არახული, მოაზიუებს, მოიძღვრის პირმცინარი გაზაფხული. ვერ იხვეწებს დატრის, დატრის, რა უღვა აქვს ფრაზამალ ნიავეს, შშობილოური საქართველოს სიყვარული სად არ მიაქვს. ზღვა სტუმრები ჩამოსულიან, ხალხი მოდის, როგორც უარი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ყველა ერთად მოიჩქარის:

შეჩაღე, მეციტრუსე, მუსიმიზდე, მევენახე. სად არ ვიყავე, მაგრამ მსგავსი ზვიმი მე ვერსად ვნახე. იგონებენ მწიარე დღეებს, სამშობლო რომ გავითიუღეს, და ლოცავენ იმ ზირადღენებს მზესეგვით რომ გავგივითუნეს! ვინც სამშობლო ასახელა, მის სიხარულს ვინც დარაჯობს, იმათ გარჯას და ჩვენ ძიობას გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

მარის ბოლოს თბილისში დიდი სააღიბ დღესასწაული გაიმართა. თა საქართველოს 60 წლისთვის ზეიმობა ვფელა. დიდი დამტრია. და ზენთან ერთად ხარონა შიგლი სასურთა ქვეყანა — აქლი ჩესსებლიკიან, მისსკიან და. დღინგარდიდის ჩამოვეფილენ სტუმრები. შიგან აველანე სასურველი და საბტიო სტუმარი იყო დღეშიდ ილია მე ბრენვენი. როგორ შეგება დღესასწაული შეიღეს სტუმრებს! როგორ გაიღეს თბილისის ქუჩები წიფილი აფრებით! თქვენა თანატოლმა, ოქტომბრისა შიგლი თა მარსაქილმა საბიბილოე სადამიხე ასე შიშობია დ. ი. ბრენვეს. — მიჩრფასი დღეშიდ ილიას ძვე მასაქში. შიგა თათამაშვილი. შიგრე შიგრე თქვენი ხელმძღვანელობით იბრძოდა ვამსტრეტის წინამდებდე, თქვენი წყალობით დღეს დღეობელი ზეჯა ვეაქეს. მაგლობას გაძღვნით ამისათვის. ზეჯი ჩესსებლიკის ხელმძღვანელობა ვფელად შეჯარდმამესუ დიდი მაგლობასა შიგან დ. ი. ბრენვეს რომ კრთაველი ხალხი პირხალვად შეასრულებს აველადგებს, რასაც შიგან მოველს აველას. შიგლ საქართველოსთან ერთად ოქტომბრისეცე პირობას იხდევთან, სწიფლითა და სასახლო ოქტომბრული აქტებებით გამოიხონნ თავი. ახლა კრთაველი „დილა“ კიდდე ერთ სამწესე ვეაქეობით ეს აქენბა მხატვრების კონკურსი „ჩემი სამშობლო“. აველას ნახეთ საქართველოსსაიუბილოე ზვიმი ზოკა — ტელევიზიონი ზოკა კი შიშაწილოეც იყავით მისი შიგა. შიღით დასატრე იხვი რამ, ამ დღესასწაულს რომ ვფელადგობდეს დასატრე საქართველოს. ლამის შიგა და შიგლი, ლამის შიგა მოზეგეე თბილისი. თუ ვინდათ, ზეჯელორს შიშაველიღებები მოიწვევიეთ. ახლა ზიმ უჯცე საზახლოდ ბართ გაკოფილეები! ერთი სიტყვით, დასატრე რაც მოკლებით და რაც ვახოებთ. საბატები უღდა გამოგზავნას სტატეგეზამდდე ამ, თვენი იყო „დილა“ საზახლო კონკურსის შიშაწილეებში!

16 764

ყამი მოჩანს სხივეის აფრქვევს პოლეკარე ცისარტყელა, სტუმარი და მასხიხიძელი ბენდიერი არის ყველა, მიეკარემ ღამით ვადახედა ავეავებულ ბარს და შიგლიოს: იღლეგრძელე, გაიხარე, ზეჯარელო საქართველო, გამარჯუების მისიია, შიღის ხალხი დარაზმული, ზავშევიც თან მოხუციბიან, — საქართველოს გაზახულელი!





უკიდურეს  
საზღვაო  
ქსენოთ

მეგობარი  
კახაბერი

ციცინო  
ბაშაბლიძე

— აი; უფურე, ერთ დროს ასეთი სამგზავრო ვაგონებიც ყოფილა. ყველა კუპეს თავთავისი შესასვლელი ჰქონდა.


— მატარებლობა ვითამაშოთ! — გადაწყვიტა ზაზამ, სკამები ერთმანეთს მიადგა, ამ „ვაგონებში“ სტუმრად მოსული დათო და ლია, თავისი პატარა დაიკო მზია, მისი თოჯინა და დათვის ბელი ჩასვა, თვითონ წინა სკამზე წამოსკუპდა და ქშენა-ქშულით „დაიძრა“. ერთხანს ჩუქჩუქებდა, მერე ხმა-მაღლა შეჰკვივლა: კუ-კუუ!, თანდათან მოუკლო ქშულის და „დადგა“.



— შენა გგონია მატარებლებით მარტო მგზავრობენ? არც კი იცი, რომ სატვირთო მატარებლებიც არის! — გაბედა სიტყვის ჩართვა დათომ.

— როგორ არ ვიცი! ნახატებსაც გაჩვენებ, თუ გინდა! აი, ეს ვაგონ-ციცინოა. ამაში ნავთს, ბენზინს, ზეთს ასხამენ და ისე აგზავნიან სხვა ადგილებში, რომ არ დაიქცეს.

— ეგ როგორი მატარებელია! — წამოხტა დათო, — ეგეთი ქშუტუნით და კრვილით რომელი მატარებელი დადის! მატარებელი დუგდუგებს და საყვირს აბღავლებს, არ იცი?




— შენ თვითონ არ იცი! გაჯავრდა ზაზა. — მე მამამ მიაბზო. წინათ ვაგონებს თავში ორთქლმავლებს უბამდნენ და იმას დაჰყავდა მატარებელიო. იცი, რამდენი სურათები მაქვს! მამამ დამიხატა და ყველაფერი ამიხსნა...

...აი, ეს არის ორთქლმავალი. შიგნით თურმე ორთქლის მანქანა იდგა, სახურავზე კი საკვამური ჰქონდა. საკვამურიდან იმდენი ორთქლი ამოდიოდა, რომ შორიდანაც შეამჩნევდა ადამიანი, მატარებელი ახლოვდებოა.

არსებობს თვითმცლელი ვაგონი — ჰოპერი ქვანახშირის, ხორბლის, ბრინჯის და ამისთანების გადასატანად.

— ეს რა არის? — დაინტერესდა ლიკაც. — ეს დახურული სატვირთო ვაგონია, გინდა ფორთოხალი წაიღე ამით, გინდა ჩაი,

დენო, კონსერვები; გინდა ტანსაცმლის ყუთები ჩაანყვე, გინდა ფეხსაცმლის კოლოფები.



— ღია უკედლებო ვაგონიც ხომ გინახავთ? პლატფორმა ჰქვია. ზედ ავტომობილებს აყენებენ; ან ახალ დაზგებს დგამენ და ქარხნებში აგზავნიან.

— მე საბავშვო რკინიგზაზე ვყოფილვარ და პატარა მატარებლით მისეირნია! — იხტიბარი არ გაიტება ზაზას ასეთი განსწავლულობით გაოგებებულმა დათომ.

— დიდი ამბავი! შენ გაგიგონია ბაკურიანში წინათ რომ „კუკუსკა“ დადიოდა, პატარა მატარებელი? ბავშვებს ისე ყვარებით, სულ სიმღერებს უმღეროდნენ.

— აუ უკვე პატარა მზიამაც ხმა ამოიღო და შემოსახა:

ხმა გაქვს ისეთი მჭექარე, ისეთი მახიანი, ცემში რომ „კუ-კუს“ დასძახებ, ხმას გაძღვეს ბაკურიანი.



— ახლა რა ლამაზი მატარებელი დადის ბაკურიანში! შენ რა, არ მოგონს! — ეჩხუტნული ნა დათომ.



— როგორ არ მომწონს! ეგ ელმავალია. — ახლა ეს აუხსნა ზაზამ.

— რას მასწავლი ჩეხოსლოვაკიაშია გაკეთებული!


— მერე რა, რომ ჩეხოსლოვაკიაში? თბილისში კი არ აშენებენ ელმავლებს! — წამოიჭიმა ზაზა. — ეგ ვინროლიანდაგინია და ჩვენთან კი იცი, რა ელმავლებს აკეთებენ! თბილისური ელმავალი ყველაზე მთავარ გზებზე, რკინის მაგისტრალებზე დადის. ისეთი ღონიერია, ისეთი, ექვსი ათას ტონამდე ტვრთის გადატანა შეუძლია. მამა, ხომ ძალიან ბევრია ექვსი ათასი ტონა?

— ბევრი, შვილო! — ჩაერთო „მატარებლობანაში“ ზაზას და მზიას მამა.

— ჩვენც გვიამბეთ რა, გივი ბიძია, მატარებლებზე! — შეეხვეწა დათო ზაზას მამას.

— აი, რა, ბავშვებო! წინანდელ ორთქლმავლებს არც სიჩქარე ჰქონდათ დიდი და არც ნივის ძალა. მერე და მერე უფრო მძლავრი მანქანები გაჩნდა — თბომავლები და თხევადი სანავიით მომუშავე დიზელები, მაგრამ ყველაზე სწრაფი და ყველაზე მძლავრი ელმავალია. ელექტროენერგიით მოძრაობს მოტორვაგონური სექციებიც, აი — „ელექტრიკებს“ რომ ვეძახით, მცირე მანძილებზე რომ დადის და მარტო დასაჯდომი ადგილები აქვს.

ჩვენთან, — თბილისის ელმავალ მშენებელ მარხანაში, — შემოკლებით მიმდის ვეძახით — ძალიან კარგი და ძალიან ბევრი ელმავლები მზადდება. წარმოიდგინეთ რა დიდია ჩვენი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი! ჰოდა, რაც მთელ საბჭოეთში ელმავლები კეთდება, იმის თითქმის ერთ მეასამედ ნილს მათაო მიმას აზრებს. ბიერე სად არ დადიან



აქაური ელმავლები. მთელ საბჭოთა კავშირში დაჰყავთ მგზავრები, დააქვთ ძალიან დიდი ტვირთი, არც ავდარი აშინებთ და არც რთული, მიხვეულ-მოხვეული გზები, მაღლობ-დაბლობები. აი, ასეთ ელმავლებს ახლა წელიწადში 142-ს აკეთებენ თემქაში, XI ხუთწლედის ბოლოსათვის კი (ხომ იცით, ჩვენში ხუთწლიანი გეგმებით ვმუშაობთ), წელიწადში 200 ცალი ელმავალი გამოვა. ეს რას ნიშნავს, იცით? ახლა თემქა დაახლოებით 5 დღეში ორ ახალ მაგისტრალურ ელმავალს უშვებს გზაზე, ხუთი წლის შემდეგ კი ყოველ 3 დღეში ორი ახალი ელმავალი აშენდება.



— გივი ბიძია, მარტო ელმავლებს აშენებს იგ ქარხანა?

— ელექტროენერგიით მომუშავე სხვადასხვა მანქანებს! მაგალითად, კოქსმქრობ ელმავლებს. აი, ასეთს.

რა არის კოქსი და რა ნიშნავს კოქსის

ქრობა, სხვა დროს გიამბობთ. ასეთი ელმავლები მეტალურგიულ ქარხნებში სჭირდებათ, და თემქაში ისეთი კარგი კოქსმქრობები კეთდება, რომ საზღვარგარეთაც იგზავნება, ძალიან ბევრ ქვეყანაში.

კიდევ აი, ნახეთ, აი ასეთ ელექტრომან-



ქანას აკეთებენ თემქაში. ეს ელექტრომანბელიორია.

— ნავსადგურებში, აეროპორტებში, დიდ საწყობებში ტვირთი გადააქვს და აწყობს. მერე, რომ იცოდეთ რა წესიერად აწყობს, თვალს ეამება! გეომეტრიული ფიგურები გეგონება. ამას ჰქვია შტაბელუება დაწყობა. ელექტრომანბელიორსაც უცხოეთის ბევრ ქვეყანაში გზავნიან. ისე, რომ თემქას პროდუქცია არა მარტო საბჭოთა კავშირში, საზღვარგარეთაც სახელს უთქვამს ჩვენს საქართველოს. აი, გაიზრდებით და თქვენც ააგებთ, ასეთ ელმავლებს. თქვენც უნდა ააგოთ! თქვენისთანებმა უნდა გაიტანონ კიდევ უფრო შორს საქართველოს სახელი აბა, როგორ!



# გვენი ღლი

ნოდარ შამანაძე

დღეს პირველი ივნისია,  
 დიდი სიხალისეა,  
 ნათელმა ცაშ შის სხივები  
 უხვად შემოისია,  
 ბაღში ვარდი გაიფურჩქნა,  
 ვინაც მოწუვეტს, მისია.  
 ეს შვიანი,  
 ეს ნათელი,  
 ეს კარგი დღე ვისია?  
 ჩენია და ჩემი არის.  
 ჩემი ორი ძმისია,  
 გუშინწინ რომ დიბადა,  
 იმ პატარა დისია,  
 განა მართლა მარტო ჩვენი,  
 ყველა მოზარდისია,  
 ვინც მარჯვეა,  
 ვინც გამარჯვეა  
 და ვინც ქვების ღირსია.



## წუგთხე

მზია ჩხეტიანი

ხევში მღერის წყარო წმინდა  
 ბროლისა და ალმასის,  
 ხევში გოგო ჩამოფრინდა  
 სიმღერით და თამაშით.  
 გოგო იყო მართლა ჩიტი,  
 ქიქიკა და ლამაზი,  
 ჩიტი, გვრიტი, მარგალიტი  
 დედასი და მამასი!  
 ციმციმებდა, ბრქვევიალებდა,  
 ვით ბლის მწიფე კუნწულა,  
 წყაროს წყალთან კრიალებდა  
 მისი კოხტა თუნგულა,  
 აავსო და აიტაცა,  
 ბებოს წაუცუნცულა!



რამდენიმე დღე ქვევრში მაჭარი ჩუხჩუხებს, დულს; მერე ცოტა დაშოშმინდება, ათიოდე დღის შემდეგ კი დადგება: „გაცივდება“. დულიში ხშირად უნდა დახედო ქვევრს, დილა-სალამოს უნდა დაურიო ბორჯლო-ანი გრძელი დასარევი, რომ ზემოთ წამოსულმა ჭაჭამ ძირს დაინოს. დაბლა ჩაბრუნებული ჭაჭა ფერსაც გამოსცემს და არც ღვიზს დაამჟავებს.

მაეთე ან მეთოხმეტე დღეს უკანასკნელად დაურღვევ ქვევრს, ქვევრის პირზე მომდგარ ჭაჭას ჩატყუნ და კიდევ გადაიღებენ მომცრო ქვევრებში, რომლებსაც წინასწარ გრძელტარიათ, ზღის ქერქისაგან გაკეთებული სარცხით დარეცხავენ. ფრთხილად ამოიღებს მეურნე ქვევრიდან ღვიზს, რომ მის ძირში თხელ არ აიძლურეს და ღვიზს არ შეჰყვეს, და მეორე ქვევრში გადაიტანს. ამ ქვევრზე სპილენძის საწურავი ანუ თუშვალანგი დგას წყრილად დახეურტილი. იქ უნდა გაიწუროს ღვიზი, რომ ნიჰან ან ჭაჭა არ შეჰყვეს. ამას ღვიზის გადაღება ჰქვია. გადაღებული ღვიზით სავსე ქვევრის პირს აზღვილ თიხას შემოუტარებენ, სარქველი რომ კარგად დაეწყობს და ჰაერი არ ჩაიპაროს, მერა აყალოს წაყარინ და დატყუნიან. ერთი გადაღება როდი კმარა ღვიზის, ხუთჯერ მაინც უნდა გადაიღო, თუ გინდა ძირში დარჩენილი როქი მოაცილო და გემო და ფერი დაეწმინდოს. მეტადრე ზაფხულში უნდა იყო ფრთხილად, მარანი ხშირად უნდა მორწყო, რომ სიცხემ არ იძალოს და ღვიზი არ დაამჟავოს. ეს ყველაფერი ზაზა-ბიჭო, მარანში ხდება, სადაც ყველანაირი ქვევრია ჩაყრილი და ყველა ხელსაწყო ინახება, რაც კი მემარნის სჭირდება. აი, თუ ამ შემოდგომას მართლა აქ დარჩები, ერთად დავწურავთ ყურძენს, ერთად დავრეცხავთ ქვევრებს და ღვიზსაც ერთად დავაყენებთ.

პაპაემმა, ყველა წმინდა შეგვენიოსო, ერთი ჭიქაც დალია და წამოგდა, ახლა დავიძინოთ, თორემ დილაზე ადრე ვერ ავდგებით და ვინმე დაგვიცინებსო.

...როცა გამელევიშა, მზე კარგა მაღლა იყო. მაშინვე წამოიხტა, პაპაემის საწოლისკენ გავიხედე, მაგრამ პაპა იქ აღარ იყო, უთენია ამდგარიყო, ვენახს წამალს ასხამდა და მუშაობით უკვე მოღლილი რაღაცას ღვინებდა.

მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი



ჩკონი. დღეს ჩკოს მუხის ნაყოფს ვეძახით. დიდი ხნის წინათ კი თურმე ასე ერქვა ნაყოფსაც და თვითონ მცენარესაც. ასე რომ, ძველი მნიშვნელობით ჩკო იგივე ყოფილა, რაც მუხა (ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ასეთ სიტყვებს სინონიმები ჰქვია).

ქართულ გეოგრაფიულ სახელებში მუხის მსგავსად ჩკოც გვხვდება მაგალითად, ქართლში ცნობილია ძველისძველი სოფელი ჩკონი. ცხრასი წლის წინათ, XI საუკუნეში, აქ ვადაუწყრათ ერთი სიგელი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და ჩკონის სიგელის სახელით არის ცნობილი. ჩკონი იგივეა, რაც ჩკოები, ე. ი. მუხები.

აჭარაში ქობულეთის რაიონში არის სოფელი კონდიდი. ამ სახელწოდების ძველი ფორმაა ჩკონდიდი, რაც დღე მუხებს ნიშნავს.

მუხის მეგრული სახელწოდებაა ჭკონი. ამ სიტყვისაგან არის მიღებული სამეგრელოში ცნობილი ისტორიული სოფლის სახელი დიდი ჭკონი, ძველი ჭკონდიდი („დიდი მუხა“).

იგივე სიტყვა გვხვდება გურიის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებაში — ჭკონაგორა (ლანჩხუთის რ.), რაც მუხის გორას ანუ მუხიან გორას ნიშნავს.



ძველი სკამის ახლოს ახალი სკამი დადგეს. ახალს მობეჭრა ჩუმად უოფნა, გადაწვებდა ძველისთვის აქუარი ამბები გაღოეკითხა.

— ბატონო სკამო, — წამოიწყო მოკრძალებულად, მაგრამ ძველმა დინჯად შეაწყვეტინა:

— მე სკამი კი არა, ცხენი გახლავართ!

— ცხენი? — ჯერ გაუკვირდა ახალ სკამს, მერე კი პირმოთნედ გაიღიმა, — რა ხუმარა ბრძანებულხართ! — მაგრამ ძველმა უურიც არ ახოვდა, მედიდურად იდგა და სადღაც იცქირებოდა.

— ბატონო სკამო, — ვერ მოითმინა ახალმა.

— მე სკამი კი არა, ავტომობილი ვარ, — კვლავ შეაწყვეტინა ძველმა და უკმაყოფილოდ გადასედა... ახალს გულმა არ მოუთმინა, ისევ მიუბრუნდა ფიქრებში წასულს:

— ბატონო სკამო...

— რომელი სკამი, მე ხომ თვითმფრინავი ვარ! — გაჯავ-



# ორი სკამი

იკინე ბალიაშვილი

რებით დაიბუხუნა ძველმა სკამმა. ახლა კი ველარ შეიკავა თავი ახალმა და სიცილი აუტყდა.

— უი, ეს რა გავგონენ, თვითმფრინავიო, — კისკიებდა პირზე ხელმიფარებული მაგრამ ძველის გამგმირავ თვალებს რომ წააწყდა. იკადრა ხმის ჩაწყვეტა. თუმცა დიდხანს მაინც ვერ გაძლო...


— ბატონო სკამო, — წამოიწყო თავიდან...

— მე სკამი კი არა, ხომალდი ვარ! — მუქარით გამოხედა ძველმა და ზურგი შეაქცია არამკითხეს.

— ერიპა, ეს ვერ უნდა იყოს მთლად დალაგებული კუისისაო, — გაიფიქრა ახალმა, მაგრამ ამ დროს ოთახში სხალრით შემოვარდა პატარა ბიჭი, ეცა ახალ სკამს და შეეწოდა გუგუნით გაფრინდა.

— შენ, ეი, სკამო! — შურით დაუძახა ძველმა ახალს.

— უკაცრავად, მე სკამი კი არა, რაკეტა ვახლავართ! — გადმოსძახა ამჟამად ახალმა და სიჩქარე ჩართო...



# მეცნიერი



## ი რ მ ა

**შოთა ხოდაშვილი**  
შავი თუთი მოთხუზულა  
ირმა ვოფო ბლიან.

— დაიბანე პირი, ირმა!  
— აბა, რომ არ შევადია!..  
— თუთის ფოთლს არჩევს ირმა,  
სახლისკენ მიაქვს,  
რომ საჭმელი არ მოაკლდეს  
აჩრეშუმის ქვას.



## ცვრიან ბაღახთან

**ლალო სულაბიძე**  
ბარეთ ადრე გასცივდნენ

ელა,  
ღაღა,  
მათა,  
მაშო,  
მაცრამ ცვრიან ბაღებზე  
ვერ გავიჩნენ სათამაშოდ.  
ბაღახმა თქვა:  
— მოფა მზე  
და მავინვე გადამაწრობს.  
განან და მზეს ვლიან



## ნახვამდის, ჩემო თბილისო

**გიორგი მისიძე**  
გიორგი-პირალი,  
ნახვამდის, ჩემო თბილისო,  
შენი პატარა ბაკური  
მცოფვებს, სოფელში მიდის.  
შენი ბაკური საფხურში  
პროსპექტზე აღარ იცისო,  
არ მოიწყინო უჩემოდ,  
ნახვამდის, ჩემო თბილისო!



# ფეხბურთელი კნუტი

მ ს ა მ ი ა ნ ი

ზარმატია კნუტი კუსა,  
სულ ფერ უმუბს სწავლას გულსა,  
ზმორებით და თვალის ნაბვით  
აქტიურებს უკმაღ კუსა.

რომ იცოფე, როგორ მეყვინო—  
ყველა ღდა აქებს შეილსო,  
მე სირცხვილით ფერ გზრავ კინტსო,—  
თავს ფერ არჩევ ბურთისაგან,  
როცა ბურთი მაღლა ტრისო,  
ბურთს დიკურ, თავს გაუშვებ,  
მითხარ ვრთი, თავს მაღლა გაუშვებ,  
— ფეხბურთელი უნდა გაგხვე,  
თავს იმართლებს კნუტი კუსა,  
— მეკარვე რომ დამაყუნონ,  
არ გაფუშვებ არც ერთ ბურთსა!



# თაფლიპარკი

ლი ა სა თ ი ა ნ ი

ბათუნია ბურღუნამ  
ჭკითხა ვრთხე ფისოს:  
— რატომ არის, ღელს რომ  
თაფლის სუნი გვისო?—  
— არავისთან გამმცე,—  
უბასუხა ფისომ,  
— ჭილა იუოს თაფლის.  
— მე მეგონა რძისო.



# მწვანე ხომალდი

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

## ნინო ბეზარაშვილი

მისო სოფელში ცხოვრობდა ერთხელ დილით ადრე გაიღვიძა, ადგა, ჩაიცვა და ეზოში ჩავიდა. ღამით წვიმა მოსულიყო, თერთად გადაბეტილ გვირილებთან და ლაშქარებთან დიდი გუმბე იდგა. წვიმისაგან გაკამკამებული ყვავილები ისე ლამაზად მოჩანდნენ წყალში, ბიჭს თვალის მოცილება აღარ უნდოდა, იდგა და უყურებდა.

დაუბერა ნიაგმა, გუმბე შეატორტმანა, ყვავილები შეარხია და წუნანდელი წვიმის წვეთები სულ წკაპაწყკუბით ჩამოყარა. ერთ ყვავილში თურმე ჭიამაიას ეძინა დილის ტკბილი ძილით და ნიაგმა ისიც ძირს ჩამოაგდო. ახლა წვეს ჭიამაია წყალზე გულადმა და ბაწაწინა ფეხებს საცოდავად აცახცახებს.

მისოს ეცოდება ჭიამაია. განა ეზარება, შევიდოდა გუმბეში, გამოიყვანდა, მაგრამ აბა როგორ! ეს ხომ გუმბე აღარ არის, უცბად ზღვად გადაიქცა ბიჭუნას თვალში—დიდ, ადლევებულ ზღვად. პოდა, რა ქნას, რით უშველოს?



ჩაფიქრდა მისო, ჩაფიქრდა და რაღაც მოიაზრა. იქვე ვაშლის ტოტზე ფოთოლი მოწყვიტა, მერე საღვაც ღობეს სწორი. მაღალი წკირი შეაცალა და ფოთლის ყუნწში ანძასავით ჩაამაგრა. აფრად კი წკირის წვერს თეთრი, ქათქათა ვარდის ფურცელი ჩამოაცვა.

— შენ ნამდვილი ხომალდი ხარ, შედი ზღვაში, ჭიამაიას დაეხმარე, გადაარჩინე, თორემ დაიხრჩობა, გესმის, დაიხრჩობა.—უთხრა ფოთოლს ბიჭმა და წყალში შეაცურა. ფოთოლმა ცოტა ხანს იცურა, მერე შეჩერდა, ადგილიდან აღარ იძროდა.



ბიჭმა კიდეც რაღაც მოიაზრა, გაიქცა, ეზოს გარეთ, ლობესთან მღვარ ტირიფს ერთი გრძელი წვეპლა გამოატეხა და წვეპლის წვერით ფოთოლი ცოტა ქვემოთ ჩასწია. ამოძრავდა ფოთოლი—წელან თურმე ქვემოლან ამოშვერილი ბალახის ღეროს გადაეჭრა გზა — ახლა აფრის ფრიალით მიცურავდა წყალზე, არაფერი აღარ უშლიდა ხელს.

მიხო გახარებული გასცქეროდა გუბის და ეჭვიც არ ებარებოდა, რომ ფოთოლი კი არა, მისი ხელით აგებული ნამდვილი

ხომალდი მიდიოდა აქაფებულ ზღვაში, მიაპობდა მთისტოლა ტალღებს და არაფერს არ ეპუებოდა, ოღონდ პატარა ჭიამაია გადაურჩინა.

კიდეც დაუბერა ნიაემა, ხომალდი სულ სხვა მხარეს გააქანა, კინალამ ქარისაგან მიქუჩებულ ჩალაბულაში შერია, მაგრამ მიხომ ისევ თავისი წვეპლა მოიმარჯვა და ხომალდს უბიძგა. აქეთ—ბიჭი, იქით—ნიაევი. და აი, ხომალდიც ისევ ჭიამაიასაკენ გაეშურა, სულ ახლოს მივიდა, თითქმის ზედ მიეკრა.

ჭიამაიამ მწვანე ფოთლისა და ვარდის ფურცლის სურნელი იგრძნო, ძალა მოიკრიბა, ფეხებში ღონივრად აამოძრავა, მერე აიწია, აიწია და ზედ ფოთოლზე გადაგორდა.

დაცურავს ფოთოლი, თან დაჰყავს შავი წერტილებით დაწინწკლული ჭიამაია და ახლა მართლა მიაგავს პაწაწინა მწვანე ხომალდს.

იარა, იარა ხომალდმა... აგერ ის გუბის ნაპირთან მივიდა. ჭიამაია ისე აწრიალდა. თითქოს ნავსადგურში მიეყვანოს ხომალდს, გაცუცუნდა. გამოცუცუნდა, მერე ფრთები გაშალა. აფრინდა და ყუავილებში შეიმალა.

ნიაევი ისევ უბერავს, ახლა ცარიელ ხომალდს დააცურებს კამკამა წყალზე. გუბის პირას კი პატარა მიხო დგას და ლამის ქვეყანა შესძრას სიხარულის ყუინით, გადარჩა, გადარჩა ჭიამაიაო!..





526 00000

ერთ დამეს თავის სახრამხედლიდან გველი გამოვიდა და მიწის ზედაპირსა, მიწის თავით და ერთი პირი იყარა და გამაღრმავებელი ჩაიბინა ბუნებრივად.

ერთ დამეს აველა ხომ და ზედა გავსანსა.

სხვაგვარი დაზინდენ. ითხოვრეს როგორ აველინა თავს დატვირთული ველებზე, მაგრამ გამოსავალი ვერ მოაგონა.

დღე დღე მიდევდა. გველი კი უპარდელად ბუნის აველებს ფოთლებზე მშვილად მტკობრებდა.



ლოკონებს ზღაპარს ეძღვნა, რომ აქვთ აველი კი შეუძლია შეივლი.

იმ დღიდან აველა თავის სისხლში ჩაიტვია. მოსული ფიციანის მოლოდინში ღამის ძალი დიდიანი ატარებდნენ. ზღაპარი იფიქრებდა, იქნებ ზღაპრმა მოგვეცა რაიმე უკვირური ბეჭედი, მაგრამ ვინ იპოვებდა ამ მანქანას!

ზღაპრის საძებნელად სსოწარკვეტილი აქარა გავიშლა. რამდენიმე დღის შემდეგ როგორც იქნა, წაიწვია ხის ძირში ჩაძვებულს, თავიანთი ვახუშტი უნაო და დახმარება სთხოვა.

— რაკ ჩამე გაგიფიქრებდათ, მარტო მაშინ ვა-

განსდებია! — წამებულმა ზღაპრმა, მაგრამ ისიც მოაზრდა, რომ თუკონივე ძველი ანგარიშები მქონდა ვისაწირებელი გველით და დავებდა:

— წელი ვადევს შენს მგლობებს, რომ მოვიდარა ზღაპარი და გველი მოსისხლე მტრები იყვნენ. შეუძლებ თუ არა ერთმანეთს პარასიტის სხივები ღანძლიანებდა დაიწვეს.

— შე უფრო შენა, აზრანხივ მაგრამ ვე შენი შიშაში — შესასა ზღაპრმა.

— ხა ჩაწვეტილი თორემ ცხირობი მოგარბე მინარბებდა — წასისხნი გველმა მანხვე ვეა ზღაპრის და დავებდა. აველას სუსთვე შეკრიბი, იფიქრეს, წახდა ზღინი ვიბრის საძებნელად, მაგრამ სანამ გონს მოვი-

დღიდან, ზღაპრმა გველის ერთი მომხმარებელი ვაწველა გველი.

მაყენა ტანში შემოქრია: — ვაშა, როგორც იქნა ჩასდღდა, სხივებიანი მაგრამ სწავლ ზღაპრის ჩაწველეს! მოკლებდა უსამართლო! ამა გველის შიშა ჩოგირს გადუქრებს!

სხვაგვარი შეწველებები შესწავროდნენ ზღაპრს, ის კი თავის გულში ჩაიმაღა და პარასიტი დაქანკლებდა მშვილად ჩაიბინა მშველეს, რომ თავის წინახართი საიდუმლოება არ ვახსოვ.

ჩა სიხრო იყო აველას სკოლოდა, რომ ამ ქვეყნად სოციალისტის განცხადი დღიდან გველის შიშაში ზღაპრის არავერს ეწვეს.

საგანა ზღაპარი გველი

# დურობის აგარად სმუიშოია!

აღმოსავლური

მუშაობს აგარადი. დურობის მსგავსი არა მხოლოდ, სინამდვილეში არა ეტრდება, დროზე უნდა გამოიხი.

დღიანი ხელის ჩამ დახან შედარებით მოდერნიზაციის, დავებდა რომ შეუძლია!



აქნა ვაში წუთიანი ჩატრეს და ირანთი დარბეს ღია, სახლი ვაშითი ვაქველას — ანუ წუთიანი ჩამხანა!



დენი იყო, ვინცა წავალი, ვინცა ვაში, ჩემი ვაში, არ ეტრდება! დროზე უნდა გამოიხი, ვადავტრ.



# გოხსნა ბუღას თავი

ზენისი მაღლაკელიძე

უცნაური რამ სჭირს ამ ბოლო დროს გი-  
ოს: ტყუილი ვერ უთქვამს, გაგივიათ? ფეხ-  
მოკლე და ქოსატყუილიც კი! იტყვის და...  
ქრება! შო, ღედა ნუ მომიკვდება, მართლა  
ქრება... აი, ასე — შოპ და აღარ არის გიო-  
ბიჭი. აბა, მაშინ უნდა ნახოთ, რა დავიდარა-  
ბა ატყდება ხოლმე: სად არ ვეძებთ, სად  
არ ვეძებთ. ყველაზე მეტად მე მომდგებიან,  
რისი ძალდი ხარ, თუ პატრონს ვერ იპოვნით.  
მეც რა, ხორცზე მეტი ბუნვი მაქვს და ალბათ  
მიიტომ ვეჩვენები ძალდად; რა ედარდებათ!  
მიდი, ცუგო, მიდი, გეში აიღე! მეც ხან ტახ-  
ტის ქვეშ მივძვრები, ხან საკუჭნაოში, მოსა-  
ჩვენებლად თორემ, აბა რისი მპოვნელი  
ვარ...

გიო კი ისევე უცბად განდებდა, როგორც  
გაქრა დაეკვირდი, რაც უფრო დიდრონ  
ტყუილს გამოაცხობს, მით უფრო დიდი  
ხნით ქრება. სად მიდის და როგორ ბრუნდე-  
ბა — თვითონაც არ იცის; უბრალოდ ქრება,  
მორჩა და გათავდა. რა ნამალ-მამალი არ ას-  
ვეს, რა ნემსი-კენესით არ დაჩხვლიტეს —  
სულ უქმად, არც ტყუილები მოიშალა და  
არც გაქრობა.

ამას წინათ სოფელს ბიჭებს ღელეზე გა-  
ყვა. კარგად რომ მოიჭყუმალავეს და ნუნა-  
ობაც მოიბეზრეს, ქვიშაზე წამოკოტრიალ-  
დნენ. ურჩიანთ ვანომ, კისერმორგვა წითუ-  
რმა ბიჭმა თამაში წამოიწყა — იმას ხომ  
ჯანთი ვერავინ შეედრება. თავი ქვიშაში ჩა-  
რგო, ხელები მიწას დააბჯინა და თავდაყი-  
რა დაერჭო. ესეც არ იკმარა, გამართულ ხე-  
ლებზე დადგა. რაც იქ გოგო — ბიჭები იყვნენ  
ყველა დაესია, ჭვილ-ბივილით აქეზებდნენ...  
ყოჩაღ, ვანო-ბიჭო! ხომ აჩვენა ქალაქელებს  
სიერიო. ვატყობ, გიო აიბურძგლა, მენიშნა  
— პირველობა უნდა. ისიც ვიცო, ეგ რა ხე-  
ლებზე გამველეოცაა... ბიჭები გასწი-გა-  
მოსნია, ურჩიანთ ვანოს მიუახლოვდა და

ეუბნება: შაი დუიუ დუო! ვანომ ერთი კი  
ამოიხედა და სალოკი თითი საფეთქელთან  
დაიტრიალა, ერთბაა, აბა შენა გეროტარ...  
გიო კი ფეხებგაჩაჩხული დგას და უშეო-  
რებს:

— შაი დუიუ დუ, ამერიკელო!  
ურჩიანთ ვანოს ამერიკა გავიცილი შქო-  
ნდა არ დაიბნა. რათაო, რათა ვარ ამერიკე-  
ლო?

— რათა და დედამინა მრგვალიაო! —  
დოინჯი შემოირტყა გიომ.

— მრგვალია! — დაემონა ჯამაათი.  
— მერე კიდევ, ამერიკა იქაა! — შკრა ფე-  
ხი მიწას გიომ. ბიჭები დაიბნენ. ატყდა ერთი  
თავის ქექვა, „მამ არა და“-ს ძახილი. ბო-  
ლოს ნასუფრალა კაკო წარუდგა კრებას:

— ბიჭოს! აქედან რომ თხარო დედამინა,  
სუუ-სუ ქვემოდე, როგორც ვამლს ნემსი  
ჩაარჭო — ხომ გავა ამერიკაში!

— მეც მანდა ვარ! ჩვენს ქვემოთ ოღონდ  
დედამინის იქითა მხარეს, ამერიკაა! ბავ-  
შეებს სიტყვა დაამთავრებინა გიომ და ისევ  
ურჩიანთ ვანოს ჩააცქერდა.

— მე რატომღა ვარ ამერიკელი? — შკითხა  
ვანომ.

— ამერიკაში ხალხი არა ცხოვრობს? —  
კითხვა მიუბრუნა გიომ.

— ცხოვრობს.

— ქვემოდან რომ ცხოვრობენ, ამიტომაც  
ხელებით დადიან, ფეხებით რომ იარონ —  
უკულმა გამოუვიათ!

ბიჭოო! დასცლოდათ, რას გაიკვირვებ-  
დნენ! მაგრამ ვის დასცალდა! მიმიხვდით?  
შო! შო! გიო გაქრა. ნაფეხურებილა დარჩა





— ქალაქში მოვიბეზრე თევზის ჭურა, შენ კიდევ აქ გინდა გამაკვიროვ!

— ქალაქში თევზს რა უნდაო? — ვკითხე-ბა რიდით გოგია, ქალაქში ნამყოფი არ იყო და ეჭვიც უფრო იმიტომ ჩაუდგა.

— ეპეე! როგორ თუ რა უნდაო! — შეხტა გიო, — მაშ ქალაქში ყველა სახლს აბაზანა რათა აქვს?

— რათა? — პირს ალებს შავგოგია.  
— რათა და იმიტომ, რომ ხალხმა სახლიდან გაუსვლელოდ როგორიც უნდა და რამდენიც უნდა, იმდენი თევზი დაიჭიროსო!

ვის დასცალდა კალმახებითა და ორაგულელებით საესე აბაზანაზე ფიქრი! მაშინ რომ გაქრა, საღამომდე აღარ გამოჩენილა გიო. მაგრამ მაინც რომ არ იშლის! ერთი-ორი დღე კი გაძლო, მერე ისევ მოხსნა თავი გუდას და შენ დაუკა! ტყუილების ნაკადული მოჩუხჩუხებებს და მორაკრაკებს. გიოც ქრება და ქრება. ახლაც გამქრალია და დრო მოიხელთე, რომ თქვენთვის ეს ამბავი შეამჩნა.

ცუგო არ ვიყო, თუ ვცრუობდე. სულ წმინდა წყლის სიძარბოლეა, რაც მოგიყვით. ვაიმე, ვერები!...

ქვიშაში. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, იქაურობა გადავექეტო, სულ ბარდებ-ბარდებ ვქებნეთ — თქვენც არ მომიკვდეთ! ბოლოს, დაღლილ-დაქანცულები წინანდელ ადგილას მოვიყარენით და ის იყო — ჩვენს შუა გიო არ დაერჭო! გულის ხეთქვა თუ გინდა, მაშინ იყო... თავადაც გემოზე შიშნაყლაპი ჩანდა.

ჰოოდა, მას აქეთ სულ აი ასე ქრება. ნეტა ან ზაფხული გაინელოს, ან მაგას შემოდგომამდე გაუვიდეს ეგ სენი, თორემ, სექტემბერში რომ ქალაქში ჩავალთ და ჩვენი გიოც სკოლისაკენ გაუყვება, იქ ნახეთ სეირი — გააკვეთილებზე თუ დაიწყო გაქრობა! აქ კიდევ პატიობენ, მასწავლებელი აპატიებს?

მერე რა მამალი ტყუილები გამოუდის? ძალი არ ვიყო, მეორე ეგეთი ქონატყულია თუ დადიოდეს ქვეყანაზე! ენა მქონდეს, ვიცი რა ხარხარ-მასხარასაც დავეყრიდი, მაგრამ..

მეთევზე გოგიამ რომ მკლავის სისხო კალმახი ამოაგდო, გიო ვითომც აქ არაფერიო, ეუბნება:



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

665/96

ინდექსი 76055

საქართველო  
შენაწილები



666/98



...საბავშვო სკოლაში — მანანა  
თავსულაძე, 6 წლის, თბილისი.

...ქონსტანტინე — ზაალ შარაშვილი,  
10, თურჯულა.

...სკოლაში — მზია ღაბაშვილი, დუ-  
შეთი.

...საბავშვო სკოლაში — ჯე-  
მალი რევიშვილი, მთაკეთის რაიონის  
სოფ. ვარციხე.

...სკოლაში — ტინანა კორაბა-  
შვილი, თბილისი.

...ბნძი, — გიმიტრი კორაბაშვი-  
ლი, თბილისი.

საბავშვო  
სკოლაში  
საქართველოს  
საბავშვო  
სკოლაში  
საქართველოს  
საბავშვო  
სკოლაში  
საქართველოს  
საბავშვო  
სკოლაში

მთავარი რედაქტორი შუბანან შავერვაძე

საქართველო კოლხეთი: ვაჟა-ფშაველას, ილია ანთონიძის, გუბაშვილის, სულხორისა და  
შარტავაშვილის, ლილია ბრატო, ზარა ლაშქარაშვილი (კ/გ პლენი). მანანა კორაბაშვილი, გელა ლოსაძე.  
კიბე, ვაჟა-ფშაველას საბავშვო სკოლაში, ჯარაჯი ნაღრავა, შირაგი ართვინიძის (სამხატვრო რედაქტორი).  
ბიძი ძვალაძე, ბიძი წიგნაძე, ბიძი ბიძინაძე.

რედაქტორი ელი წიგნაძე

მასწავლებელი: გიორგიშვილი, სკანონი — თბილისი, ლენინი, 14. გელა ბი. რედაქტორი — 93-41-30, 93-98-19;  
1/16 მდინე — 93-41-30, 93-98-19; სანო. რედაქტორი — 93-98-19; გარე 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გაზეთი ასაწილებლად 20/IV-81 წ., ხელმოწერა დასაწყისად 20/V-81 წ., კალაღის ზონა 60X90 სმ.,  
ფის. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 168.900. ზედა: № 1142. „Диа“ № 6. Журнал для младшеклассников.  
на грузинском языке. Главный редактор М. Мачавариანი, Тбилиси, ул. Ленина, 14.

საქართველოს  
საბავშვო  
სკოლაში  
საქართველოს  
საბავშვო  
სკოლაში  
საქართველოს  
საბავშვო  
სკოლაში